საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №26/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 28 თებერვლის №26 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 29 აპრილის №26/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოსამართლე -- -- ბრალდებულ -- -- არასწორად განუმარტა უფლებები.

1.2. -- -- და -- -- მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე არ არსებობს განაჩენის გამოცხადების სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერი და საჩივრის ავტორისთვის გაუგებარია რას მოაწერა მოსამართლემ ხელი.

1.3. მოსამართლემ დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 278-ე მუხლით დადგენილი საპროცესო ვადები -- -- და -- -- მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- 2020 წლის 5 თებერვლის განჩინებით ბრალდებულ -- -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა.

2.2. მოსამართლე -- -- სისხლის სამართლის საქმე -- -- და -- -- მიმართ არსებითად განსახილველად დაეწერა 2018 წლის 10 ივლისს (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით).

-- -- სასამართლოს 2020 წლის 8 იანვრის განაჩენით:

-- -- ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

- სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით.
- სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - თვისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლის ვადით.
- სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, -- -- სასჯელად და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით.

-- -- ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

- სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით.
- სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - თვისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლის ვადით.
- სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, -- -- სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 29 აპრილის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 28 თებერვლის №26 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის საფუძვლიანობის შემოწმებისას ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს.

3.1. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ ბრალდებულისათვის უფლებების განმარტებისას „ადვოკატის“ ნაცვლად გამოიყენა ტერმინი „დამცველი“, რითაც დასტურდება რომ იგი ვერ ერკვევა ტერმინოლოგიაში. ასევე მოსამართლემ არასწორად განუმარტა ბრალდებულს კანონის მოთხოვნა, როდესაც განაცხადა: „ასე რომ თქვენი უფლებაა სხვა დამცველი აიყვანოთ“.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი ეხება საპროცესო უფლებებს, რომლის თანახმად დაცვის უფლება გარანტირებულია, ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით.

სსსკ-ის 38-ე მუხლი ეხება ბრალდებულის უფლება-მოვალეობებს. მოცემულ მუხლში კანონმდებელი ახდენს ბრალდებულის ძირითადი პროცესუალური უფლებების ჩამონათვალს, მათ შორისაა ბრალდებულის უფლება აირჩიოს და ყავდეს ადვოკატი, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის უქონელია-უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ამავე კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე ბრალდებულს განუმარტავს ბრალდების არსს და მის უფლებებს.

ბრალდებულ -- -- სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ -- -- სასამართლოს 2020 წლის 5 თებერვლის სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლე -- -- ბრალდებულისათვის უფლებების განმარტებისას განაცხადა: „განგიმარტავთ თქვენს უფლებებს... უფლებას, რომ გყავდეთ დამცველი, თუმცა კანონიდან გამომდინარე თუ სავალდებულო დაცვა არ არის გათვალისწინებული, ადვოკატის გარეშეც შეგიძლიათ განხილვაში მონაწილეობის მიღება, ასევე თქვენი უფლებაა, რომ სხვა დამცველი აიყვანოთ“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, დამცველი არის პირი, ვინც იცავს ვინმეს, რაიმეს (ხელყოფისაგან)-მფარველი, მხარის დამჭერი. „ადვოკატი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ვიხმობ, აქ იგულისხმება პირი, რომლის პროფესიაა იურიდიული დახმარების გაწევა. ადვოკატი არის იურისტი, რომელიც ბრალდებულის დამცველად გამოდის სასამართლო პროცესზე, ან/და ვისიმე საქმეს აწარმოებს სასამართლოში. ქართულ წერილობით ძეგლებში ასევე გვხვდება სიტყვა „ვექილი“, როგორც სამოხელეო ტერმინი, რომელიც არაბულად რწმუნებულს, მეურვეს, მზრუნველს ნიშნავდა, მას სახე არ უცვლია XVII-XVIII საუკუნეებში, ხოლო თანამედროვე ქართულში ვექილი იგივეა, რაც ადვოკატი. აქედან გამომდინარე, მიუხედავად განსხვავებული სახელწოდებებისა აღნიშნული სიტყვები წარმოადგენენ იდენტური მნიშვნელობის, საგნობრივი მიმართებით ერთგვარ სიტყვებს, რომლებსაც მსგავსი შინაარსობრივი მხარე გააჩნიათ.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემულია ბრალდებულის უფლებების მინიმალური გარანტიების ჩამონათვალი. კონვენციის მიზანია იმ უფლებების უზრუნველყოფა, რაც არის პრაქტიკული და ეფექტური და არა თეორიული და ილუზიური (სალდუზი თურქეთის წინააღმდეგ, დვორსკი ხორვატიის წინააღმდეგ) იმისათვის, რათა კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით უზრუნველყოფილი დაცვა იყოს პრაქტიკული და ეფექტური, მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულებმა იცოდნენ აღნიშნული უფლებების შესახებ.

გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტმა განმარტა, რომ სამართლიანი განხილვის უფლება, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის შესაბამისად, გულისხმობს პროცედურული უფლებების შესახებ შეტყობინების უფლებას, მათ შორის სამართლებრივი დახმარების უფლებას. კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის თანახმად, თითოეულ პირს უფლება აქვს მისთვის წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის საშუალებით.

ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის ტრიბუნალისა და რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალის პროცედურისა და მტკიცებულების სტანდარტის შესახებ წესდება და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 55-ე მუხლი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ ბრალდებულებს უნდა ეცნობოთ სამართლებრივი დახმარების მიღებისა და დუმილის უფლების შესახებ.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულის უფლებების განმარტებისას არაა აუცილებელი ზეპირად მოხდეს ნორმის ციტირება. თუმცა, ბრალდებულის დაცვის პროცესუალური მექანიზმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ბრალდებულის ჯეროვანი ინფორმირება კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებების თაობაზე, რადგან მხოლოდ ინფორმირებულ ბრალდებულს შეუძლია სათანადოდ დაიცვას თავი წარდგენილი ბრალდებისგან. ბრალდებულის ინფორმირებისაგან წარმოდგება თანამდებობის პირის (ამ შემთხვევაში მოსამართლის) ვალდებულება, უზრუნველყონ ბრალდებულისათვის კანონით გათვალისწინებული უფლებების გაცნობა. მოსამართლემ მარტივად, ბრალდებულისათვის გასაგები არატექნიკური ენით უნდა განუმარტოს ბრალდებულს მისი უფლებები, განმარტება უნდა იყოს იმდენად დეტალური, რომ ბრალდებულს შეეძლოს განსაზღვროს ის სირთულეები, რაც შესაძლებელია უკავშირდებოდეს სამართალწარმოებას და განსაზღვროს დაცვის დამოუკიდებლად ან ადვოკატის დახმარებით წარმოების მიზანშეწონილობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლის ქმედება მითითებულ სადავო შემთხვევაში საპროცესო ნორმების შესაბამისია.

3.2. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ -- -- და -- -- მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე არ არსებობს განაჩენის გამოცხადების სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერი და საჩივრის ავტორისათვის გაუგებარია რას მოაწერა მოსამართლემ ხელი.

აღნიშნული ფაქტის შესწავლისას მნიშვნელოვანია, რომ სწორად შეფასდეს მოსამართლის მხრიდან განხორციელებული ქმედებების თანმიმდევრულობა და მისი უფლება-მოვალეობები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58-ე მულის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლოში საქმეები იხილება სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობით.

სსსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომის მდივანი ვალდებულია სრულად და სწორად დააფიქსიროს სასამართლო სხდომის ოქმში სასამართლოს მოქმედება და გადაწყვეტილება, აგრეთვე სასამართლო სხდომის ყველა მონაწილის მოქმედება, განცხადება, შუამდგომლობა, ჩვენება და ახსნა-განმარტება. მას უფლება აქვს ოქმის მომზადებისას გამოიყენოს კომპიუტერული ან სხვა ტექნიკური საშუალებები, რომელთა ჩანაწერები ოქმს თან ერთვის.

სსსკ-ის 195-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლო სხდომის ოქმის შედგენისა და მისი გასაჩივრების წესი. ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომის შესახებ დგება ოქმი. იგი შეიძლება შედგეს სტენოგრაფიისა და სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ და მდივანმა სასამართლო სხდომის დამთავრებიდან ან, სხდომის გადადების შემთხვევაში, სხდომის გადადებიდან არაუგვიანეს 5 დღისა ხელი უნდა მოაწერონ ოქმს, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ მხარეებს.

მხოლოდ სხდომის მდივნის ციფრული ხელმოწერა აქვს ელექტრონულ ოქმს, სხდომის მდივანია პასუხისმგებელი სასამართლო სხდომის ოქმის სწორად და სრულად შედგენაზე, ამ პასუხისმგებლობიდან გამომდინარეობს მისი ვალდებულება სხდომის დაწყების წინ შეამოწმოს სასამართლო პროცესის ფიქსაციის ტექნიკური სისტემის გამართული მუშაობა.

-- -- და -- -- ბრალდების სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ საქმეში არსებობს -- -- სასამართლოს 2020 წლის 8 იანვრის სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომის ოქმი, რომელიც ხელმოწერილია როგორც მოსამართლის, ისე სხდომის მდივნის მიერ, ოქმს ერთვის აუდიო ჩანაწერიც. აღნიშნული აუდიო ჩანაწერის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სხდომა ჩაწერილია ხარვეზით, არაა სრულად ასახული სასამართლოს მოქმედება. აუდიო ჩანაწერში არაა ასახული მოსამართლის მიერ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება. თუმცა სხდომის ოქმში დაფიქსირებულია, რომ სხდომის მდივანმა -- -- სხდომის დაწყებამდე შეამოწმა

სისტემის ტექნიკური მდგომარეობა.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტიდან გამოითხოვა -- -- სასამართლოს 2020 წლის 8 იანვრის არსებითი განხილვის სხდომის ვიდეო ჩანაწერი. რომლის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქმის მასალებში არსებული 2020 წლის 8 იანვრის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი იდენტურია ვიდეო ჩანაწერში მოსამართლის მიერ გამოცხადებული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილისა. ასევე სასამართლოს სხდომის მიმდინარეობა სრულადაა ასახული ვიდეო მასალაში.

საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ -- -- 2020 წლის 3 თებერვალს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს და მოითხოვა 2020 წლის 8 იანვრის სასამართლო სხდომის ვიდეო ჩანაწერის გადაცემა, რომელიც მას ჩაბარდა 2020 წლის 5 თებერვალს.

ამდენად, მხარე ამ შემთხვევაში არ დარჩა უფლებადაუცველი. შესაბამისად, არ იკვეთება მოსამართლე -- -- მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

3.3. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- -- დაარღვია -- -- და -- -- ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის გადაგზავნის საპროცესო ვადები.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის/საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

სსსკ-ის 278-ე მუხლის თანახმად, განაჩენისა და განსხვავებული აზრის ასლი მსჯავრდებულს ან გამართლებულს და ბრალმდებელს უნდა გადაეცეს განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის ბრალდების საქმეზე – არა უგვიანეს 14 დღისა. პროცესის სხვა მონაწილეს განაჩენის ასლი მისი მოთხოვნით იმავე ვადაში გადაეცემა.

სსსკ-ის 293-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

დისციპლინური საჩივრის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ -- -- და -- -- ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 2020 წლის 8 იანვარს. 2020 წლის 27 იანვარს

პენიტენციური დეპარტამენტის -- №-- დაწესებულების დირექტორს გაეგზავნა 2020 წლის 8 იანვრის განაჩენის ასლი მსჯავრდებულებზე გადასაცემად.

-- -- სასამართლოს 2020 წლის 8 იანვრის დასაბუთებული განაჩენის ასლი 2020 წლის 27 იანვარს ასევე გაეგზავნა მსჯავრდებულ -- -- ადვოკატ -- --.

როდესაც ვსაუბრობთ მოსამართლის მიერ მხარისათვის განაჩენის ვადის დარღვევით გადაგზავნაზე ყურადღება უნდა გავამახვილოთ მოსამართლის დატვირთულობაზე. -- -- სასამართლოდან გამოთხოვილი ინფორმაციით დასტურდება, რომ 2019 წლის განმავლობაში, მოსამართლე -- -- განიხილა 364 სისხლის სამართლის საქმე, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოებაში ჰქონდა 118 საქმე. 2020 წლის იანვრის თვეში მოსამართლეს განსახილველად დაეწერა 135 საქმე, დაასრულა 131 საქმე. 2020 წლის იანვრის თვეში მოსამართლე -- -- მიერ ჩანიშნულ სხდომათა გრაფიკი შემდეგნაირად გამოიყურება:

- 6 იანვარი - არსებითი განხილვის სხდომა - 15;
- 8 იანვარი - არსებითი განხილვის სხდომა - 12;
- 9 იანვარი - არსებითი განხილვის სხდომა - 4, წინასასამართლო სხდომა - 2;
- 10 იანვარი - არსებითი განხილვის სხდომა - 8, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა - 1;
- 13 იანვარი - არსებითი განხილვის სხდომა - 7;
- 14 იანვარი - არსებითი განხილვის სხდომა - 7, პრობაციის ბიუროს უფროსის წარდგინების განხილვა - 1, წ/ს ვადის გაგრძელება, პატიმრობის გადასინჯვა - 1;
- 15 იანვარი - არსებითი განხილვის სხდომა - 10, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა - 3;
- 16 იანვარი - არსებითი განხილვის სხდომა- 6, პრობაციის ბიუროს უფროსის წარდგინების განხილვა -1;
- 17 იანვარი - არსებითი განხილვის სხდომა - 8, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა - 1;
- 20 იანვარი - არსებითი განხილვის სხდომა - 8;
- 21 იანვარი - არსებითი განხილვის სხდომა - 18, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა - 2;
- 22 იანვარი - არსებითი განხილვის სხდომა - 8, წინასასამართლო სხდომა - 1, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა - 2;
- 23 იანვარი - არსებითი განხილვის სხდომა - 11, წინასასამართლო სხდომა - 1;
- 24 იანვარი - არსებითი განხილვის სხდომა - 7, წინასასამართლო სხდომა - 2, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა - 1;
- 27 იანვარი არსებითი განხილვის სხდომა - 8, წინასასამართლო სხდომა - 1, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა - 1.

ყოველივე ზემოაღნიშნულით დასტურდება, რომ მოსამართლე -- -- ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლო კანონით გათვალისწინებულ ვადაში განაჩენის მხარისათვის გაგზავნა, მიუხედავად ამისა მოსამართლის ამ ქმედებას უარყოფითი სამართლებრივი შედეგი არ გამოუწვევია და ბრალდებულთა უფლებები სრულად იქნა რეალიზებული.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ დაცვის მხარემ დროულად შეძლო სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენის გასაჩივრება. კერძოდ, 2020 წლის 8 თებერვალს -- -- სასამართლოში მიღებულ იქნა -- -- ადვოკატ -- -- სააპელაციო საჩივარი. ამდენად განაჩენის ჩაბარების ვადის დარღვევას არ მიუყენებია მხარისათვის არსებითი ხასიათის ზიანი, მხარეს არ წართმევია განაჩენის გასაჩივრების ფუნდამენტური უფლება.

მოცემულ შემთხვევაში მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს, არ დასტურდება.

აქედან გამომდინარე, მოსამართლის ქმედება ვერ შეფასდება დისციპლინურ გადაცდომად.

ამდენად, -- -- საჩივართან დაკავშირებით შესწავლილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად, არ იკვეთება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №26/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი